პროექტი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2022 წლის მარტი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების,„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქრთველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N15 დადგენილებაში (matsne.gov.ge 07/12/2021, ს/კ 010250040.35.152.016427), კერძოდ:

დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის 16-ე მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება

1. საკრებულოს წევრს (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით უნაზღაურდება საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებში, საკრებულოს მიერ შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის მისაღებად და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეებთან (ამომრჩევლებთან) შეხვედრებთან დაკავშირებული ხარჯები, თვეში 675 (ექვსას სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.

2. საკრებულოს წევრებისათვის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს, საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციების სხდომებში, საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფებში საკრებულოს თითოეული წევრის ფაქტობრივი დასწრების მონაცემები, ასევე, ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეებთან შეხვედრების გამართვის მონაცემები.

3. ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება საკრებულოს, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების სხდომებში, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეებთან შეხვედრებთან დაკავშირებული საკრებულოს წევრის მონაწილეობის ამსახველი ჩანაწერები (ოქმები) ან/და საკრებულოს წევრის მოხსენებითი ბარათი.

4. საკრებულოს წევრს შეიძლება შეუმცირდეს, ან არ მიეცეს უფლებამოსილების განხორციებასთან დაკავშირებული ხარჯი სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

5. ხარჯების ასანაზღაურებლად საკრებულოს აპარატი ყოველთვიურად ამზადებს საკრებულოს თავმჯდომარისთვის წარსადგენ ინფორმაციას ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტების შესაბამისად, რასაც საკრებულოს თავმჯდომარე შემდგომ გააცნობს საკრებულოს.

6. საკრებულოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება შემდეგი თვის 10 რიცხვამდე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ინაშვილი